ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო
Georgia. The Assembly of Mestia Municipality

დ.მესტია 25.06.2021 წ.

საქართველო, დ.მესტია. სეტის მოედანი #1
ტელ: (995) 99 85 55 40
ელ.ფოსტა: mestiis.mun@gmail.com www.mestia-sakrebulo.ge

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №19

გეოგრაფიული ობიექტის, მესტიის მუნიციპალიტეტის ლენჯერის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფლების ნესგუნის და ქაშვეთის დამაკავშირებელი უსახელო ქუჩისთვის გამონაკლისის წესით „შამილ ფილფანის“ სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ.

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 07/08/2019 წ. №-1789. წარმოდგენილიქნა მესტიის მუნიციპალიტეტის მერი-ს ინიციატივა, გეოგრაფიულო ობიექტის: **მესტიის მუნიციპალიტეტის ლენჯერის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფლების ნესგუნისა და ქაშვეთის დამაკავშირებელი უსახელო ქუჩისთვის შამილ ფილფანის სახელის მინიჭების შესახებ.**

გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის პირთან დაკავშირებულ სახელდებას ითვალისწინებს პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ, ვინაიდან შამილ ფილფანის გარდაცვალებიდან გასულია მხოლოდ 16 წელი მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ იმსჯელა ამ წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობაზე. საკრებულომ გადაწვეტილების მიღებისას გაითვალისწინა შამილ ფილფანის განსაკუთრებული დამსახურებები ერის და სვანეთის მოსახლეობის წინაშე, გაითვალისწინა ის გარემოება რომ, სწორედ ამ სოფელს უკავშირდება მოღვაწეობის დაწყება მესტიის მუნიციპალიტეტში, სადაც იგი სიცოცხლის ბოლომდე მაღალი პროფესიონალიზმით და დიდი პასუხისმგებლობით ემსახურებოდა საკუთარ ხალხს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24 მუხლის „1“-ლი პუნქტის „ა.ე“-ქვეპუნქტის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის №-239 დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის, მესტიის მუნიციპალიტეტის მერი-ს 07/08/2019 წ. №-1789 მომართვის, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისის დასკვნის **საფუძველზე:**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. მიზანშეწონილად მიჩნეულ იქნას, გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელმწიფო და საზოგადო მოლვაწის პირთან დაკავშირებული სახელდების წესიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ გადაწვეტილება და მესტიის მუნიციპალიტეტის ლენჯერის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფლების ნესგუნის და ქაშვეთის დამაკავშირებელ უსახელო ქუჩას მიენიჭოს „შამილ ფილფანის“ სახელი.

2.განკარგულება ძალაში შევიდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“54–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გაცნობისთანავე.

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზუგდიდი. გრ. ქობალიას ქ.N 12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე